

მერაბ თხელიძე

ლექსები

2018

მერაბ თხელიძე



ლექსები
თქვენთვის და თქვენზე

2018

რედაქტორი

ელდარ როინიშვილი

ტექნორედაქტორი

ტარიელ სტურუა

მხატვრულ-კომპიუტერული

უზრუნველყოფა

პაატა ახრახაძე



**საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის
„საზოგადოება ცოდნა“**

წინათქმის ნაცვლად

მომაპყარი სასმენელნი იგი ყურნი,
მაგრამ, კარგო, არა მხოლოდ ყურისანი,
ასჯერ ბრძენი, ასჯერ ნელი, განაბული,
მომაპყარი ყურნი შენი გულისანი.

არ მისმინო მარტოოდენ ყურის ყურით,
ყურის ყური ქარისა და შურისაა,
მიყვარს სმენა, მეგობარო, გულის ყურით,
გულის ყური რადგან მხოლოდ გულისაა.

ნუ დაეძებ რითმის ნაკლს ან ბრჭყვიალებას,
მეტად, აზრის მეტყველება დაისახე,
ნუ აფასებ ავის თვალთ კეთილ ნებას,
გულისხმიერ გულის თვალთ დამინახე!

ციური თარგამაძე



დალის

კუბლენი დალი მერკვილაძეს

შენ პირველად შემეყვარდი
ჩემო კარგო, ტკბილო დალი,
ნამდვილ ციდან მოვლენელი
უკვდავების წმინდა ალი,

თუ ციური სიყვარულის,
წრფელი ვნების მფრქვევი ღმერთი,
არა, შენ ის ქალწული ხარ
გულით მიყვარს ვინაც ერთი!

ბორჯომი, 1955 წელი

თბილისს, მთაწმინდას

*ვუძღვნი ჩემი სკოლის, პირველი საშუალო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს
ბაბო მჭედლიძეს*

ერთხელ ოლიმპოს მთის მბრძანებელმა
ცოდვილ სამყაროს მოავლო თვალი,
ნახა რას შერება და რისთვის იბრძვის
ანუ ვინ არის ადამიანი...

აგერ მთაწმინდა, ადგილი წმინდა,
გულში ჩამკვრელი ჩვენ დიდებისა,
გესმით? მკვნესავი სიმების ჟღერა,
ნამღვილ აკაკის ხმა იქნებისა!

აქ არს ვის უთქვამს „გასწი მერანო“
და გაუვალი უვლია გზები,
ვისაც რომ ხიდი ჩაუტეხია
ბატონ-ყმობისა ზიზღით და გესლით.

აქ განისვენებს სოსელოს დედა,
ვაჟაც აქ არის მთის შევარდენი,
აქ ნინო კვნესით დასტირის პოეტს
და ღმერთსაც თვალზე მოადგა ცრემლი
და მან ინატრა: ხალხის ცხოვრება
ყოველთვის იყოს კარგი, მზიანი,
რა მოხდა მერე, ნუთუ ღმერთს არ აქვს
უფლება იყოს ადამიანი !



თბილისი 1956 წელი.

და ვერ ვიპოვებ რომ ვარ ქართველი

*კუძღვნი საქართველოს გარეთ
მყოფ ქართველებს*

მე უცხოეთში გადავიხვეწე
მცირე ხნით, მხოლოდ ფულის საშოვნად,
მინდოდა ოჯახს დავხმარებოდი,
ემუქრებოდა მშობლებს დახოცვა.

აქ არ ვთაკილობ მძიმე შრომას მე,
არ მინდა მქონდეს ჩემი ცხოვრება
და ჩემიანებს დაღლილი ხელით
ვუგზავნი სარჩოს, ქონდეთ ცხოვნება.

მე უცხოეთში გადავიხვეწე
მცირე ხნით მხოლოდ ფულის საშოვნად,
ამოვისუნთქე, დავადგი თვალი
ქალს, ფულს, ქონებას, ადვილ გართობას
და გადამედო იქაური მე აზროვნება,
მცირე ხნის ნაცვლად წლების გამთელი,
უკან არ ვჩქარობ, იქნებ აქ დავრჩე
და დავივიწყო რომ ვარ ქართველი
და დავივიწყო ჩემი გენი, რომ ვარ ქართველი,
უკან მეძახის მამა-პაპის ძვლები, საფლავი,
მიწა, რომელიც მორწყულია სისხლის მდინარით
ჩემი თვისტომის, გახლეჩილი და დაკარგული
და აღარ ვიცი როგორ მოვიქცე,
სად ავირჩიო ჩემი საფლავი,
შემერგება კი? მექნება ძილი,
რომ დავივიწყო სამშობლოს ვალი?

და დავივიწყო რომ ვარ ქართველი,
ტანჯული ერის შვილი ეული,
ყველა წავიდეს თავის სარჩენად,
ვინდა დარჩება შინ? ერთეული.
ის ვისაც არ აქვს გაქცევის ფული,
ან ვინც ქცეულა მდიდარ ბობოლად,
ან ვისაც უჯობს შიმშილით მოკვდეს
თავის მამულში, ბრძოლით ოღონდაც.

მცირე ხნის ნაცვლად გავიდა წლები,
მთვარეულივით დავიარები,
აქ ვერ დავრჩები, არც უკან ვჩქარობ
და ვერ ვივიწყებ რომ ვარ ქართველი!



სააკაძესთან ერთად მინდა...

ღელას ვუსმენდი, თანაც წიგნებს ვეწაფებოდი,
ქართლის ლაშქარი ცხადშიც, ძილშიც მელანდებოდა,
როს ერთი ათზე მიდიოდა ბრძოლის ყიჟინით,
როგორც უხორცო, თითქოს სულ არ ედარდებოდა.

მე ვოცნებობდი მათ რიგში დგომას,
წინაპართ გვერდით მუდამ ვივლიდი,
ხერხეულიძედ, არაგველად მინდოდა ყოფნა,
მათსავით ჩემს თავს მეომრად ვთვლიდი.

სააკაძესთან ერთად მინდოდა
გადამეთელა სპარსელთა ჯარი,
სამშობლოსათვის, საქართველოსთვის
მეც გამეწირა ღირსებით თავი

და ვოცნებობდი, იქნებ ამიტომ,
რადგან ყველაფერს განაგებს ღმერთი,
მე მას მივანდე სვე-მომავალი
და ოცნებებში ძველს მივაჩერდი.

ცხოვრების გზაზე ძირითადად ვმასწავლებლობდი,
მათემატიკას ვასწავლიდი, ნამუსს, კაცობას,
არ გამჩენია მე სურვილი მაღალი სკამის,
არ ვესწრაფოდი თანამდებობას.

მე კალმისტარი მახვილივით მეჭირა ხელში
და სულ მრცხვენოდა, განვიცდიდი რომ არ
მიჭირდა, არ ვიყავ ომში, არ მზარავდა ბათქი და თქეში.

თურმე სადა ხარ, ომი გინდა? არეულობა?

ჯერ ცხრა აპრილი, სისასტიკე, კვლა საზარელი,
თავისუფლების მოპოვება, უსუსურობა,
კვლავ ძმათა ომი, ოსეთი და ო, აფხაზეთი.

მე პერჩის გული რომ დავიარო

ჩემს წინაპრებთან ერთად კარდაკარ,
ჩემი თაობაც, ახალგაზრდობაც
მყის დადგებიან ჩვენთან მხარდამხარ.
დავგმოთ სიმხდალე, დაძაბუნობა

და უკან გავყვეთ დიად გორგასალს,
მყის მოვიპოვებთ, კვლავ დავიბრუნებთ
ჩვენს მიტაცებულ ტყეს და მთა და ბარს.

ძველ მონობაში დავიკარგე, გავქრი ქართველი,
ეხლა ვერკვევი, სიკვდილიც კი აღარ მადარდებს,
სააკაძესთან გადავთელავ მე მტერთა ლაშქარს
რომ გავუწოდო ძმური ხელი ოსებს, აფხაზებს.
ამას ვაპირებ. თუმცა ჩვენს ბედს განაგებს ღმერთი,



ჩვენ არ გვექნება მომავალი, თუ წარსულსაც არ
მივაჩერდით, სააკაძესთან ერთად მინდა
გადავთქვო მე მტერთა ჯარი,
სამშობლოსათვის მოწიწებით გავწირო თავი.

თქვენ, პოეტები საქართველოსი!

გადავიკითხე ყურადღებით თქვენი ლექსები,
გული ამევსო თეთრი შურით, სწრაფად და ღიად,
გადავდე გვერდზე ყველა საქმე, გადავიფიქრე
და ჩავუჯექი ჩვენი ლექსის ანტალოგიას.
ბუმბერაზების, პოეტების ვნთქავდი მე ლექსებს,
შოთა, ილია, აკაკი და გალაქტიონი,
ნიკოლოზ, ვაჟა, ბესიკი და რამდენი კიდევ,
თქვენ ტრაგიკული ბედი გერგოთ, არაიოლი.
ვით კელაპატრები გიზგიზებდნენ თქვენი გულები,
იფერფლებოდნენ სიტყვისა და ომის ქარცეცხლში,
მე აღტაცებით ვაკვირდები თქვენს ყოველ სიტყვას,
მინდა მოგბადოთ მახვილით და კალმისტრით ხელში.

ვერ შეგედრებით ვერცა რითმით, ვერც სიტყვით წყობით,
ვერც პრობლემები წამოგჭერი რთული და მწველი
და გული მწყდება, რომ ვერ ვხვდები თქვენს
ფიქრთა სიღრმეს, მეამაყება თქვენთან ერთად რომ ვარ ქართველი!

დედას

დაკოჟრილ ხელებს თავზე მისვამდი,
გიყვარდი როგორც პეპელს სინათლე,
რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო,
გამოვისყიდო ძველი სიგლახე?

რა ვქნა მითხარი, კვლავ მოვისმინო
„ჩემო ბიჭიკო, ჩემო მერაბი,
მე არ ვიქნები, მაგრამ ღრმად მწამს,
შენა ხარ ჩემი თეთრი მერანი.

მჯერა გახდები დიდი სწავლული,
ვერას დაგაკლებს ბედი ვერაგი,
გახსოვდეს მუდამ, გიცავს ფარული
დედის დალოცვა და სიყვარული“.



რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო,
 ფიქრებმა გზები გადამირაზეს,
 როგორ მეგონა სულ იქნებოდი
 დედიკო, შენ და შენი სინაზე.
 როგორ მეგონა ძილში ჩასმენილ
 ყველა შენს ნატვრას აგისრულებდი,
 სკოლის მედალთან ერთად ამ ქვეყნის
 მთელ ოქროს ფერხით დაგიყუდებდი.
 საბედისწერო დილას თუ ღამეს,
 როცა ორგულად დაგარტყა წნევამ,
 თურმე მეფერე უკანასკნელად,
 თურმე სადა გაქვს დრო მოქარგულად.
 წავიბუტბუტე ძილში „მაცალე“,
 ხვალაც ხომ მქონდა ნახვის იმედი,
 მერე გეტყოდი, როგორ მიყვარდი,
 ჩემთვის დედა და ღმერთი იყავი.
 ვერ მოვასწარი, ვეღარ გითხარი,
 როგორ მიყვარდი, როგორ გინატრე,
 რა ვქნა, მითხარი, რა გავაკეთო?
 გამოვისყიდო ძველი სიგლახე.



ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი

*„არვის არ სძინავს ისე აბნეულად, როგორც
 ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს“
 პაოლო იაშვილი*

ბავშვობიდანვე მიტაცებდა მე ეს თამაში,
 ბედს რომ ეცლია და ოჯახი არ დამნგრეოდა,
 ვინ იცის რა გზას ავირჩევდი გულის კარნახით
 და ამის იმედს ჩემი მწვრთნელიც ხომ იძლეოდა.
 თავის სარჩენად ავირჩიე მათემატიკა
 და არცა ვნანობ – დაც და თავიც გადავირჩინე,
 თუმცა შორიდან მომიწია ჭადრაკის ცქერა,
 ჰობია მხოლოდ, პროფესიად ვერ ავირჩიე.
 ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი,
 იძულებითი არჩევანით დავიარეები,
 გაორებული, ვით სიზმარში ვცხოვრობ ტიალი,
 სხვა ცხოვრებაში ხომ მექნება მე არჩევანი,
 ხომ შემიძლება მხოლოდ ჭადრაკს მივუძღვნა თავი,
 ხოლო მანამ კი სადაც რამე შეჯიბრს დავლანდავ,
 აღარ მოვითმენ, კმარა ადრე რასაც ვითმენდი,
 სულით და გულით ვითამაშებ, თავსაც დავკარგავ.



სამ დიდ ჩემპიონს ვეთამაშე, ვეჯექ პირისპირ და სამივესთვის გამოვძებნე თითო ბილიკი, როგორც ვცდილობდი, ჩემთვის, თქვენთვის, როგორ ვიბრძოდი და დავამარცხე სპასკი, ტალი და ბოტვინიკი.

როგორ ვცდილობდი, ვაგროვებდი მანეთს და კაპიკს, წასვლა მინდოდა ალბიონის მე ქვეყანაში და ჰა აღსრულდა, მსოფლიოში მე ვარ მეორე, მოყვარულების დიდ მსოფლიო შეჯიბრებაში.

ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი, გაორებული, ვით სიზმარში დავიარები, იმედს ვიტოვებ, იმედი მაქვს არ გავწბილდები, სხვა ცხოვრებაში რომ მექნება მე არჩევანი.



ბაბუას

ჩემს კლასში ვიყავ ყველაზე გლახა, შეუძლებელი და გალეული, მაგრამ ამ გულში რა ცეცხლიც მენტო ამას თუ იტყვის თერგდალეული.

დედაჩემს კაბა არ ღირსებია, რომ დასწრებოდა მშობელთა კრებას და მაინც მისი შვილი მერაბი, მიუტანს ოქროს ერთადერთ მედალს

და ამ საქმეში ბაბუა ჩემო მეხმარებოდი ცხადად, მალულად, რამდენჯერ გირტყი, როგორ გაწვალე, არ დაგცდენია ძვირი კაცურად.

ერთხელ არ გითქვამს დედაჩემისთვის, მეფარებოდი ხმალზე ვით ფარი, მე კი სიყრმიდან უგუნურობის დღეს გულზე მაწევს ო, დიდი ვალი.

ერთხელ არ გითქვამს დედაჩემისთვის ჩემზე ცუდი და გიკრავს ნაღარა, მე კი ბავშვობის უგუნურობის მწვავს სინანულის ცეცხლი თაკარა.

ჩემთვის სწავლა და თამაში იყო, სხვა არაფერი ჩამესმებოდა, სიკვდილ-სიცოცხლე თუ არსებობდა მეტად ბუნდოვნად გამეგებოდა.



როცა შეიქენ შენ უქეიფოდ,
სავადმყოფოში ამოჰყავ თავი,
ვერ მოვიცალე შენს სანახავად,
წამოველოდი დედაჩემს ღამით.


ჩემთვის ვამბობდი მერე ვნახავ—თქო
და ჰა საწუთრომ დამიგო მახე,
შენ ველარ შესძელ გეცადა ჩემთვის,
ისე აღსრულდი, ველარა გნახე.

გავიდა წლები, დაკვარგე დედა,
მე თვითონ გავხდი ეხლა ბაბუა
და შვილიშვილი ჩემი მიშუტკა
სულ მეჩხუბება, ჩემი ღაბუა.

სულ მეჩხუბება, მიგებს ოინებს,
შემდეგ კი თვითონ მიხვევს იარებს,
მითხარი ბაბუ, თუ მომიტევე,
ბაბუის ხვედრიც გავიზიარე

და ვინანიებ რომ ვიყავ შენთან
მეტად უგულო, თავქარიანი,
ისე აღსრულდი, ველარა გნახე,
ვერ მოგიტანე სიტყვა ფხიანი
და მე სიყრმიდან უგუნურობის
ისევ მომძახის, მწვავს შენი ვალი,
ველარ მოგისწარ, ვერ გნახე მეთქვა
რომ მინდა ვიყო მე შენი დარი.

მითხარი, ბაბუ, მაძლევ შენდობას,
თუ ამ ჩემს კენესას წაიღებს ქარი?



კვლავ მენატრება დედის ალერსი

სამოცდაათი წელი გავლიე
გულში კვლავ დავრჩი პატარა ბავშვად
და ცხოვრებაში ვით უსინათლო
ხელის ცეცებით მივიკვლევე გზასა.
კვლავ მენატრება დედის ალერსი,
მისი ჩურჩული ჩამესმის ძილში,
მის ხელებს მოაქვთ სიმშვიდე, სითბო,
ეს ცხადში მინდა და არა ძილში
და ცხადში მინდა რომ ვიყო ძილში,
გავინავარდო ქუჩების ჭრილში,
კვლავ დავერიო სხვა უბნის ბიჭებს,
გადავიყვანო საქმე ჭიდილში.
კვლავ მეჩქარება ადგომა ძილში,



საჭირო არის სკოლაში წასვლა,
 ზარი დარეკავს და მერე ვინღა
 შეგიშვებს კლასში, მორჩა და ბასტა.
 კვლავ გამოცდაზე მიმეჩქარება,
 მოვკულო უნდა უზომო შიში,
 „ფრიადი“ უნდა მივიღო ნაღდად,
 დედას დავპირდი, მივეცი ფიცი.
 რადგან დედა თვლის, რომ მისი შვილი
 აჯობებს ყველას, ყველაფერს დაძლეოს,
 დიდ სიმაღლეებს მიაღწევს, ივლის,
 ივლის და ივლის, მეც იმედს ვაძლეე.
 მას ასე უნდა, დედაჩემი თვლის,
 გამორჩეული დაბადა შვილი,
 მე კი რაღა ვქნა, არ შევასრულო
 მისი ყველაზე დიდი სურვილი?
 კვლავ მენატრება დედის ალერსი,
 მას ვხედავ ძილში, ჩამესმის ხმაცა
 და ცხოვრებაში, ვით უსინათლო
 ხელის ცეცებით მივიკვლევ გზასა.



2010 წ. თბილისი

ეკატერინე მაგიდას

პატარობიდან მზრუნველობდი, მზრდიდი, მტუქსავდი,
 თბილის ქალაქში უთანხმებდი სწავლას დედობას,
 როცა გათხოვდი და ზეგანში იწყე ცხოვრება,
 თან გამიყოლე საქორწილო როგორც ბედობა.

დალოცა ღმერთმა პავლე, კაცი, მეუღლე შენი,
 ისე მიმიღო როგორც შვილი, შენი ნაშენი,
 მას უხაროდა ჩემი ყველა წინსვლა, დიდება,
 მომნათლა კიდევ, ზეცაში აქვს სასუფეველი.

მას შემდეგ წყლებმა საკრაულის ბევჯერ იდინა,
 მაგრამ ზეგანმა ჩემი თავი ვერ აიცილა
 და თავს როგორც კი თავისუფლად დავიგულებდი
 ზეგანი იყო სასურველი ჩემთვის კურორტი.



მასწავლებლობდი, ასწავლიდი, ზრდიდი სხვის შვილებს
და ღმერთმა შვილი, საკუთარი შვილი არ მოგცა,
იქნებ იმიტომ, შეაღიე ძმიშვილს ძალები
და ამოწურე დედობისთვის ყველა დალოცვა!

სოფელი ქვედა ზეგანი 2010 წ.



ჩემს დას, მარინას



მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელსაც შვილივით ვზრდიდი,
დაზე, რომელსაც დედა მოუკვდა
დაზე, რომელსაც გზას მე ვუხსნიდი.
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა,
დაზე, რომელსაც მამა გაექცა,
დაზე, რომელსაც სითბო დააკლდა
მშობლიური და ვისღა გაეცა.
მე მეძნელება ლექსის დაწერა
დაზე, რომელიც ცხრა წლის დაობლდა
და მისი ტოლი სხვა, ბედნიერი,
თოჯინებთან თუ მხოლოდ დაობდა
თვითონ კი გახდა დიასახლისი
ორკაციანი მცირე ოჯახის –
სასმელ-საჭმელი, ბინის გამოგვა,
ჭურჭლის გარეცხვა, ჯაფა მოსწავლის.
აღარ ვიხსენებ იმ დროს სევდიანს,
როცა უსახსროდ დავრჩით ობლები,
თან ვმუშაობდი და სტიპენდიაც –
შიმშილისაგან აღარ მოგკვდებოდა.
აღარ ვიხსენებ ჩემი დის თვალებს
შემოჩერებულს, ყურადღებიანს,
უნდოდა ჩემში ამოეკითხა
რა გველის, ზუსტად, სწორად და ღიად
და გაჭირვება, სასოწარკვეთა,
როცა არსაით არაფერს ელი,
არ გვასწავლიდნენ კომუნისტები,
რომ არის ძალა, რომ არის ღმერთი
და თუ შესძელი, დადექი მედგრად,
იწამე ღმერთი და ლოცვის ძალა,
მიხედავ დასაც და ძმასთან ერთად
მას ეყოლება დედაც და მამაც.
გავიდა წლები, დრო შეიცვალა,
ეხლა ჩემი და არის ძლიერი,
ორი შვილი ჰყავს – ლევან, ირინა
და შვილიშვილი, ფეხბედნიერი.
მე კი კვლავ ვებრძვი ვერაგ ცხოვრებას,
უნდა ვარჩინო ცოლი და შვილი
და თვალწინ მიდგას ჩვენი წარსული
ჩვენი ობლობა ჩემი და შენი.

მეამაყება რომ ძმა ხარ ჩემი!

კუძლენი ილიკოს – ჩემს ცოლის ძმას


ეტალონი ხარ ქართველი კაცის,
მეამაყება რომ ძმა ხარ ჩემი,
ჭირსაც და ლხინსაც ერთად ვიყოფდით,
უკვე გავლიეთ მრავალი წელი.
გადავიარეთ ახალგაზრდობა,
და გვაგონდება ძველი „გრიალი“,
მე გული მწყდება იმის შეგრძნებით,
ჩვენს ბავშვებს არ აქვთ გრილი ნიავი.

მათ ვერ მივეცით ჩვენ უზრუნველი
ახალგაზრდობა, გზა ვერ ვუკაფეთ,
იქნებ ისეც კი შეგვექმნას საქმე,
მათი სარჩენი გავხდეთ უკანვე.

უკვე გავიდა მრავალი წელი,
დავმარხეთ დიდი, პატარა მაროც,
შემოგვაბერდა ჩვენ ხელში შალო,
მეზობლებიდან შემოგვრჩა გარო
და შევარცხვინე მე ის მთავრობა,
რომელს არა აქვს ალლო და ღონი,
საქართველოსთვის გამოიყენოს
გამოცდილება შენი და გონი.

ეტალონი ხარ ქართველი კაცის,
მეამაყება შენს ღროში ყოფნა,
მე ამას ვამბობ არა იმიტომ,
მინდა უსაგნოდ მოგიძღვნა ხოტბა,
არა იმიტომ, რომ ხარ ცოლის ძმა
ან რა გაკლია ჩემთან ძმობამდე,
მხოლოდ იმიტომ, რომ ხარ ვაჟკაცი
და ქართველი ხარ სულით–ხორცამდე.

სოფ. ქველა ზეგანი 2002 წ.



გვიან გავიგე

დემნა ცხაკაიას, ჩემი სკოლის მერხის
გამყოფს 11 წლის მანძილზე.



ჩემი ბავშვობის მესაიდუმლე,
ხარ ჩემი კლასის მერხის გამყოფი,
გვიან გავიგე შენი სიკვდილი
და ვნახე მხოლოდ შენი სამყოფი.

გულის ტკივილით მინდა გამოვყო
და გავიხსენო ერთი ამბავი,
როდესაც დედას მე წავეჩხუბე
და გვქონდა ერთი აყალ-მაცალი.
დედამ მე მითხრა მეათე კლასში
„ტყუილად გიწერენ მაღალ ნიშნებსა“,
გავვარდი გარეთ, მეტკინა გული,
ჩამწყდა ნაწილი მე სიმებისა.



ყველაზე კარგად შენ იცი დემნავ,
საგზლად მომქონდა ჰური და ყველი,
როდესაც კლასში, ჩვენს კლასში კერძოდ,
ყველანი იყვნენ მდიდრები, ქველი.

ამ სიღარიბეს და უქონლობას
მე ბავშვურ გულში ვიკლავდი ძალით,
თავს ვირწმუნებდი რომ კარგი სწავლით,
მე უნდა ყველას ვაჯობო ამით

და ეს მეწყინა, დედა შემთხვევით
მტკივნეულ ადგილს შეეხო ენით,
მერე ინანა, შენ დაგიძახა
გთხოვა „მიშველე, მონახე, გელით“.

ქლაქში იწყე მაშინ სირბილი,
მონახე ყველა ჩვენი ადგილი
და მნახე, განა ტყუილად იყავი
მესაიდუმლე და ძმა ნამდვილი.



არ შეიმჩნიე, ვიჯექით მტკვართან,
შენზე დამიწყე მე საუბარი,
ვითომ შემთხვევით მითხარი გვიან:
„წავედით სახლში, ჩვენც ხომ გვაქვს ვალი“.

როცა გავჯექი, გითხარ უარი,
მეხვეწე, მქაჩე, ბოლოს მუქარა:
„დედა მომიკვდეს, თუ არ წამოხვალ,
გცემ“ და ეს იყო შენი მუდარა.

შენი მუდარა და საყვედური,
ძმობა, ბიჭობა და მეგობრობა:



„როგორ იქნება დედას უჯინო,
 ეს არის შენი დედა–შვილობა?“
 და წამოგყევი, მე დარცხვენილი,
 გულთ მომქონდა შენი ნათქვამი...
 გვიან გავიგე შენი სიკვდილი
 და ვნახე მხოლოდ შენი საფლავი.

ქობულეთი 2001 წ.

ლამაზო ქალო

ლამაზო ქალო, ნეტავ ვინა ხარ,
 ასე თვრამეტის, ოცის იქნები,
 ისე მიყურებ ვით საგანს, ადგილს,
 რადგან მამძიმებს დიდი ცოდვები.
 ჩემი ცოდვები ჩემი წლებია,
 შემომპარვია სამოცზე მეტი,
 პირმშვენიერო და ტანკენარო,
 მინდა იცოდე, რომ არას გერჩი,
 თუ სხვა სიმდიდრე არ გაგაჩნია
 ამაზე მეტი და ღმერთის ნებით
 შენ მოიყარე ჩემი ხნის ქალად,
 მაშინ ლამაზო ამ ერთსაც გეტყვი:
 მე როგორც ადგილს ხომ მიყურებდი,
 თუგინდ უბრალოს, თუგინდ ცარიელს,
 შენი სიმდიდრის დამკარგავს კარგო,
 არ შემოგხედავს არვინ, გაიგე.



* * *

(უსიყვარულოდ)

უსიყვარულოდ რომ არ არის ბედნიერება
 ეს უკვე ვიცით,
 ბოროტი რომ სძლევს ცხოვრებაში
 კეთილს გავიგეთ, მაგრამ არ ვიღებთ.

ნუ გადადებ

მინდა რომ იყო თამამიც და მოკრძალებულიც,
 სააქაოში ყოფნა მხოლოდ წუთია ერთი,
 სწორედ ის წუთი, რომელიც რომ აღარ გექნება
 თუ კვლავ გადადე ხვალისათვის საქმე, სათქმელი.

ჩემს თამარს

კუძღვნი ჩემს უფროს ქალიშვილს
დაბადების დღის აღსანიშნავად
დაბადებიდან ფერიას ჰგავდი
თმებით, სახითაც მზის,
ფერიაც იყავ თვალებით,
დაბინდული ცის.

გაიზარდე და დამშვენდი,
მადლი ხარ ქართული ცის,
სააკაძე ხომ შენი ფუძეა,
არ უღალატო ძირს.

ქართლის დედა ხარ იერთ, ჭკუით,
მასწავლებელი სხვის,
ცალ ხელში თასი გიჭირავს,
მეორე-ელვაა ღვთის.

ფერია იყავ დაბადებიდან,
მზექალი გახდი დღეს,
იყავ დღეგრძელი ჩვენს გასახარად,
თვალიც დაუდგეს მტერს!





ჩემს თინათინს

ვუძღვნი ჩემს უმცროს ქალიშვილს
დაბადებიდან დედის კალთას იყავ აკრული,
უკმაყოფილო ყველა ძიძათი,
დაბადებიდან ხელებს მიწვდიდი,
გამომარჩევდი ჩემო თინათინ.

დაბადებიდან დაგყვა ჟინი და ინტერესი,
ეზოში მუდამ იყავ თავკაცი,
თუმც იყავ ავი და უკარება,
სამართლიანი, სულით ხალასი.

მე სულ მიკვირდა სკოლაშიც და სტუდენტობაშიც,
ყველაფერს თვითონ როგორც ასწრებდი,
თუ ვინ გიყვარდა მე არ ვიცოდი,
იყავ გამგები, მეგობარი თითქმის ყველასი.

დაბადებიდან დედა ისევ შენი კერპია,
ხელს ისევ მიწვდი, როგორც წინ იყო,
ჩვენ სასახელო შვილი გაგზარდეთ
მამ იღლეგრძელე ჩემო თინიკო!



მიუიკოს

ვუძღვნი ჩემს უფროს შვილიშვილს

შენ ნამდვილად დაიბანე პირი,
აბა ეხლა რატომ ტირი, ვაი?
აჰ, არ გინდა შენ საჭმელის ჭამა,
კამფეტია შენი სატკივარი.

გაილახე, ფაფა მაინც ჭამე,
რა მოიგე? კამფეტი მიაგდე,
არ გერჩია, გეჭამა ორივე?
არა, არა, შენი გაიტანე!



გალაკტიონს


*„რარივ კარვია სამშობლოვ, შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და“*

გალაკტიონ ტაბიძე

შენ ხარ ის კაცი, ვინც დალანდა გემი „დალანდი“,
შენ ხარ ის კაცი, ვინც ავიდა მწვერვალებამდე,
შენ ხარ პოეტი ფეხით თხემამდე,
შენ ხარ პოეტი სიყვარულით გაგიჟებამდე.

შენ ხარ პოეტი ვინც შორიდან ეტრფოდა მერის,
ორნი იყავით შენ და ლამე ამ ქვეყანაზე,
ლურჯა ცხენებით ისწრაფოდი სულ სხვა მხარეში,
უსიყვარულოდ მზეც არ გსურდა ცის კამარაზე.

სიყვარულისთვის შენ შეგეძლო ცამეტჯერაც მოგეკლა თავი,
ცვრიან ბალახზე დადიოდი შენსავ მამულში
და განა გიყვარს შენი მიწა, შენი ბალახი,
თუ მამულისთვის თავს ვერ სწირავ, არ ხარზვარაკი.



შენ კი გიყვარდა შენი ხალხი, შენი მამული,
დედის ნანინა, შენი კუთხე, შენი ოდა, შენი
ჩინარი, შენ ამიტომაც ვერ გაუძეულ ამდენ სიყვარულს
და ლაჟვარდ ცაში ვარსკვლავებით გაუჩინარდი.

2015 წლის 30 აგვისტო

ზაფხული მოგულეთში

*„ცხოვრება ეს არის ქუჩა
ცალმხრივი მოძრაობით“*

ავატა კრისტი

ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ცანი,
ლივლივებს მიწა, ლივლივებს ტანი,
რა არის „დღეს“ და რა არის „ხვალე“,
ეს არის აწმყო და მომავალი.

ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ტანი,
იყო ბავშვობა და აღარ არის,
სიყმაწვილესაც შეუდგა წყალი,
ეს ცხოვრებაც ხომ სიზმარი არის.

თითქოს დღეს იყო, გავიდა ხანი
და რა შემომრჩა? ჭაღარა თავი,
სიბერისათვის დამდგარა ჟამი,
ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ტანი.

გავიდა წლები, სხვა გზა არ არის,
გაფრინდა დრო და მოვიდა ჟამი,
რა დამრჩენია? ორიოდ წამი
და გაიღება არყოფნის კარი.

მაგრამ დღეს ვცოცხლობ, ზღვაში ვარ, ზღვაში,
ამაოებას დაუდგეს თვალი,
ლივლივებს ზღვა და ლივლივებს ცანი,
ლივლივებს მიწა, ლივლივებს ტანი.

2015 წლის 6 სექტემბერი



მაღე გაზაფხული მოვა

მაღე გაზაფხული მოვა, ისევ შეიფოთლებით,
მაგრამ ყველა ვერ იხილავს როგორ შეიმოსებით.
თქვენ ხეებო, ზოგს ჰგონია რომ გულები არა გაქვთ,
არ იციან როგორ გტკივათ, ნეტავ ეს დაანახათ.

როგორ ტირის ხე ან როგორ გვირხევს ტოტებს ქარ და ქარ,
ტოტებს გვირხევს, გვეუბნება „მოდით კიდევ ხანდახან“.

მაღე გაზაფხული მოვა, ისევ შეიფოთლებით,



ზოგი ხე კი ხმება, კვდება ისე როგორც ყოველი.
ჩვენ რომ ვკვდებით გვინდა დაგვრჩეს გვარის დანატოვები,
ხე რომ ხმება მასაცა აქვს ნერგი დასატოვები...
მალე გაზაფხული მოვა, ისევ შეიმოსებით,
მაგრამ ყველა ვერ იხილავს როგორ შეიფოთლებით.

2016 წლის 16 თებერვალი

შენი ნახვისას

არავინ იცის გულში რა ხდება,
შენი ნახვისას წლები მაკლდება,
რისთვის მაჩვენა ღმერთმა შენი თავი,
თუკი ოცნება არასდროს ახდება.

ცხოვრება ზღვა არ არის გასცურო,
მდინარეა ის ღიდი და საშიში,
თუ არ მიჰყვები, ვერაფერს გახდები,
უნდა გამოსტაცო შენი ნაწილი.

არავინ იცის გულში რა ხდება,
შენი ნახვისას წლები მაკლდება,
ღმერთმა მიბოძა მე თავი შენი
და ჩემი ოცნებაც ახდება, ახდება,

თბილისი, 2015 წლის 12 დეკემბერი



მერაბის კმბლთან

მე რომ მერაბის ძეგლს გვერდს ჩავუვლი,
მისი თავი დგას ვერის პარკის წინ,
მე მახსენდება ჩვენი კლასი და...

ეხ, რა სჯობია თურმე ბავშვობას

მე რომ მერაბის ძეგლს გვერდს ჩავუვლი,

მე მახსენდება სკოლა, ანცობა,

ზვიადი, გელა, ჩვენი ლაღობა,


ეხ, რა სჯობია თურმე ბავშვობას.

მე რომ მერაბის ძეგლს გვერდს ჩავუვლი,

შემომაწვება გულზე ნაღველი,

ნუთუ სიზმარი იყო ცხოვრება,

ღმერთო, არ არის ნუთუ საშველი.





თავისუფლებას თავი შესწირე,
შენა გაქვს მერაბ ძმაო სათქმელი,
ამაო იყო ნუთუ ყოველი,
ღმერთო, არ არის ნუთუ საშველი.
მე რომ მერაბის ძეგლს გვერდს ჩავუვლი,
თავი მგონია არარაობა,
ტანში დამბრუბლავს, მერაბ და ზვიად...
ეხ, რა სჯობია თურმე ბავშვობას!

შენ ჩემო თბილის-ქალაქო

მტკვრის ნაპირებზე გაშლილო,
მტკვრისავე წყლებით ნაბანო,
ჩემი სამშობლოს გვირგვინო,
შენ ჩემო თბილის-ქალაქო.

რამდენს იტყოდი ვინ იცის,
მტკვარიც რომ შეგშველებოდა
და ლაპარაკი შეეძლოს,
იქნება გვეშველებოდა.

რამდენჯერ შემოგესივნენ,
დაგანგრიეს და გადაგწივეს
და ჩვენი რჯულის გულისთვის
რამდენი ხალხი აწამეს.

გაიზარდე და აშენდი
და აღმა მიდის შენი გზა,
კვლავ დაიბრუნე ხალისი
და მოშრიალე ვერხვითა ხმა.

მტკვრის ნაპირებზე გაშლილო,
მტკვრისავე წყლებით ნაბანო,
ჩემი სამშობლოს გვირგვინო,
შენ ჩემო თბილის-ქალაქო!



(ქარი ქრის)

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
იქროლოს, იქროლოს, იქროლოს...
და თუ წვიმს, და თუ წვიმს,
და თუ წვიმს,
იწვიმოს, იწვიმოს, იწვიმოს...
და თუ თოვს და თუ თოვს
და თუ თოვს,
ითოვოს; ითოვოს; ითოვოს...
ქარიც ქრის, წვიმაც წვიმს, თოვლიც თოვს,
ეს ყველაფერი კარგია, კარგი,
მალე მზე გამოვა დიადი, დიადი,
ამინდი, იქნება მზიანი, მზიანი!

თბილისი, 2016 წლის 27 მაისი.

ზეგანში თევზაობისას

ზეგანში თევზაობისას
დავატარებ ჩასაყრელსა,
დიდ ქვაზე შიშველი ვდგევარ,
გადავყურებ მდინარესა.

რეზო, პატუ და იმედა,
წყალს ხომ ვერვინ გაუსწრებსა,
ორნი მავთულს წყალში ყოფენ,
მესამე დენს გაუშვებსა.

საწყალი წვერა, ქაშაყი
სულ ზედაპირს ახტებიან.
დენი ურტყამთ და ესეც თქვენ –
თევზაობა წესებითა.

ამ დროს მუცელზე დამაჯდა
ჭრელი პეპელა ხატულა,



ფრთაზე შევახე თითი მე
 და არ გაფრინდა მალულად.
 ნელ-ნელა აფარაფატდა და
 მარცხენა ხელის მაჯაზე
 ისევ დამაჯდა, გავვოცდი
 და დავაკვირდი მაშინ მე,
 ისე კობტად წამოსკუპდა
 თითქოსდა ემღერებოდა,
 წინა ფეხებსაც მისვამდა,
 ნამდვილად მეფერებოდა.
 თითი შევახე მუცელზე,
 ისევ გავკვირდი მე ძალზე,
 ახტა, არც აცივ-აცხელა,
 ეხლა დამაჯდა მე თავზე.
 მოიარა კეფა, შუბლი,
 ვერაფრით ვერ მოვიცილე
 ან აშკარად მოვეწონე
 ან ღვთის ნიშანი ვიხილე.



სადღებრძელო

(წარმოთქმული ჩემს 70-ე დაბადების დღეზე)

მინდა ბევრი ვთქვა მოკლე დროში, ნუ გამამტყუნებთ,
 თანაბაღელებს ვეღარ ვიხსენებ, ბებერთ წესია,
 ერთი მათგანი – ჟღალთმიანი და მოგრძო სახის ეს ნესტანია,
 ნეტავ სად არის, როგორ არის და როგორია?
 სკოლის მერხიდან ორი მყავდა მე მეგობარი:
 ეს დემნა იყო, მესაიდუმლე, ჩემი მოძღვარი.
 დღეს აქ არ არის, აღარ არის ამ ქვეყანაზე,
 ღმერთო შეუნდე, თუ რამ ჰქონდა მას ცუდი, მცდარი.
 მეორე იყო მხიარული, ხმაურიანი,
 დღეს ის აქ არის, ჩემი რუსლანი!
 ჭადრაკს მივდევედი ბავშვობიდან, შემწევდა ხელი,
 მან მომატარა მე ქვეყნები და ვნახე ბევრი,



მეტოქეთ ნაცვლად შევიძინე მე მეგობრები...
 ოთხნი ვიყავით განყურელი მოჭადრაკენი
 მე და შურიკა, ჭადრაკში ხომ ძალზე მშვიერი,
 დღეს აქ არ არის, აღარ არის ამ ქვეყანაზე,
 ღმერთმა მოუხმო, ღმერთი არის ყოვლად ძლიერი!
 მეორე მყავდა მეგობარი „ცხენისა მორდა“,
 როგორც ეძახდნენ მას შურიკა და სხვა ბიჭები,
 დღეს აქ არ არის, მოღვაწეობს კალინინგრადში,
 ისიც არ ვიცი ცოცხალია და როგორ არის,
 ჯანოევია ის დავითი, იყოს დღეგრძელი!
 მეოთხე დამრჩა, მოჭადრაკე და მეგობარი,
 დღეს ის აქ არის – თემურია ჯახუტაშვილი...



ჩემს ცხოვრებაში ბევრი ვნახე მე კარგი ხალხი,
 ჩემს ძმაკაცებში, საქმეში თუ მეზობლობაში
 ბევრი არ დამრჩა, სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ,
 სამი აქ არის – მიშა, ვაჟა, ჩემი ჯემალი...



და რა დამაკლდა სკოლის შემდეგ მე დემნას ხელი,
 უნივერსტეტში გამომიჩნდა მისი შემცვლელი,
 ძმა და მრჩეველი, ყოველი ჩემი სისულელის
 ხელის შემშლელი, მფარველი და ჩემი გამგები,
 დღეს ის აქ არის – ჩემი ჰამლეტი!...



ერთად ვიყავით ჩვენ ბათუმში მის მამის სახლში,
 მათემატიკას ვასწავლიდი მის შვილს, ვუხსნიდი,
 ის კი ფიზიკას ასწავლიდა ჩემს ანც ქალიშვილის.

უანგარო მეგობარია, იმედის ხელი,
 ის დღეს აქ არის – ანზორია მისი სახელი...

რა სჯობს სოფელში დროს ტარებას, მწვადებს ცვრიანებს,
 ნათესავთაგან ცოლის მხრიდან გოგიტაა ოჯახთან ერთად,
 ჩემი ცოლის ძმაც, კარგი ჩიტია,

ჩემი გამგები, ჩემი ძმაც, ჩემი ილია!
 ძნელია შვილი გაგებაროს, სიძე მიიღო,
 პირველი ნახვით შეიყვარო,



მანაც მიგიღოს, იშვიათია, მაგრამ ხდება –
 კახა ამის მაგალითია,
 ის ამ სუფრასთან გვერდს მიმშვენებს, ასე მითქვია.
 ცოლ-შვილის ქებას არ მივყვები, ისეც მიხვდებით,

კიდევ სამ წევრზე დამჭირდება კარგი სიტყვები,
 ეს მიშიკოა, შვილიშვილი, ჩემი იმედი,
 მერე ირინა, ჩემი დის შვილი, ძალზე მაგარი,
 ყველაზე კარგი, დედაჩემის ასლიც რომ არის.



ბოლო სიტყვა კი შევინახე მესამისათვის –
 სისხლი და ხორცი, ბავშვობიდან ჩემი ამტანი,
 მესაიდუმლე, ჭირის, ლხინის ერთად გამტანი,
 ჩემი მარინა, ჩემი და, და მე ვარ ამაყი.

და ვინღა დამრჩა – ვინც აქ არის, ვინც აქ არ არის,
 უთქვენოთ აბა ვინა ვარ და ვინღა ვიქნები,
 მოდით ამიტომ ყველამ ერთად ავწიოთ ჭიქა
 და გაგვიმარჯოს სიყვარული არის ვიდრემდის!



თბლისი, 2009 წლის 18 ივლისი.



მიტხარი, მიტხარი!

შენს სურათს დავცქერი,

მილიმის სურათი,

თითქოს მეკითხება:

რამე ხომ არ ვიჭირს?

მიტხარი, მიტხარი

შენს სურათს დავცქერი,

რა მიმზიდველი, უცნობი სახეა,

ვილიმის თვალები და

თითქოს მეკითხები:

რამე ხომ არ ვიჭირს?

მიტხარი, მიტხარი.

შენს სურათს დავცქერი

და გული მეკუმშება –

მე ხომ შენ ასეთი არ მინახავხარ.

და არ მახსოვხარ!

მე ვიცნობ შენს სახეს

დანაოჭებულს და ნაყვავილარს,

ჭაღარა თმას - და საიდანლაც

შენი ხმა მეკითხება:

რამე ხომ არ ვიჭირს?

მიტხარი, მიტხარი.

შენი ხმა ჩამესმის,





რომელსაც ველარ ვცნობ
და ვერც ვიხსენებ,
სულელივით ვიწყებ სირბილს,
ლაპალუბით ცრემლები ჩამომდის
და ვერ ვეგუები იმ აზრს, რომ აღარა ხარ,
თუმცა სულ მალე ოთხმოცი ჩამოდის
და საიდანღაც ისევ მესმის
ხმა დელაჩემის:
რამე ხომ არ გიჭირს?
მითხარი, მითხარი.



დრო თურმე ყველფრის მკურნალია,
ყველაფერს წაშლის,
მეხსიერებას ბინდი ეფინება,
ხსოვნა ფერმკრთალდება
აღბათ ეს ასეა. მაგრამ...
დელას, მის სახეს, მის ხმას,
მის ნაოჭებს ვერაფერი,
ვერასოდეს ვერ წაშლის და
ვერც დაგავიწყებს...
და საიდანღაც ისევ მესმის
დავიწყებული და ვერ ნაცნობი ხმა დელაჩემის:
რამე ხომ არ გიჭირს, შვილო?
მითხარი, მითხარი!

თბილისი, 2016 წლის 3 დეკემბერი.

რა კარგი არის

ბავშვობაში, პატარობაში, ჩაძინებულს დედის მკლავებში,
გამღვიძებია შიშით გათანგულს სიზმარში წარსულს,
სადაც მომდევდნენ ურჩხულები, მე კი გავრბოდი
და ვერც გარბოდი. გამღვიძებია ოფლში გაწუწულს...
დედის მკლავებში. დედის ნანინა, დედის სითბო,
დედის ქართული და ისე მშვიდად მიმძინებია
და ძილში წასულს შემყოლია მე ფიქრი ერთი...
რა კარგი არის რომ ვარ ქართველი
და სიხარული ძილშიც და ცხადშიც:
ქართველი რომ ვარ, რომ ვარ ქართველი!

თბილისი, 2016 წლის 18 ივლისი

ქნელია ადამიანად ღარჩე

მე მინდა გითხრათ ძნელია
ადამიანად გაჩნდე
და კიდევ უფრო ძნელია
ადამიანად ღარჩე.

რალაცის უნდა გჯეროდეს,
ვილაცის უნდა გწამდეს,
ვილაცა უნდა გიყვარდეს,
ვილაცა უნდა გყავდეს,

კარგი და ცუდი იცოდეს
და მეგზურადაც გაგყვეს,
ცხოვრება ისე დაიწყო
ადამიანად გახდე...

მე მინდა გითხრათ ძნელია,
ადამიანად გაჩნდე
და კიდევ უფრო ძნელია
ცხოვრება ისე გალიო – ადამიანად ღარჩე!

6 მარტი, 2017 წელი.

* * *

(გაზაფხულის ზარი)

გაზაფხულის ზარი,
ზაფხულისა ხვატი,
შემოდგომის ხვატი,
ზამთრის თოვლის ხვატი...
ადამიანის დაბადება –
გაზაფხულის ზარი,
მისი ბავშვობა, სიყრმე –
ზაფხულისა ხვატი.
დავაჟკაცება, საქმენი –
შემოდგომისა ხვატი,
სიბერე, სიკვდილის შიში –
ზამთრის თოვლისა ხვატი.

20 აგვისტო, 2017 წელი.



(ნადირობა არის...)

ნადირობას მაზიარა მეგობარმა,
ვიყავ ალბათ ოციოდე წლის,
რა ვიცოდი ასე თუ გამიტაცებდა,
თავსაც დაგვარგავდი მყის.



მოტოციკლით დავდიოდით კუმისის
და მარნეულის გზით,
ჭანჭრობებში დავეძებდით ბეკასსა და იხვს,
არ ვზოგავდით თუ ვნახავდით წყლის ქათამს და ვიპს...

გავიდა დრო და ხანი

და დაგვიბერდა შურიკას ძაღლი

სენმა წამართვა მე მეგობარი,

დამწუხრებულმა ჩამოვაცვი თოფს შავი თალხი...

გამოიღარა, გავიდა დრო და ხანი,

კვლავ ნადირობამ გამომკრა კლანჭი,

მე, ჩემი სიძე, ცოლის ძმა და სხვანი და სხვანი,

კვლავ ვნადირობდით, გაგვიწყდა ქანცი...



ეხლა სიძესთან, მის კლასელებთან,

კერძოდ, თემო და მამუკა არის,

მანგლისის მხაეს მივემგზავრებით

კაკაბზე, იხვზე კუნაპეტ ღამით.

რა შეედრება სისხამ დილით,

სანადიროდ მინდორზე გასულთ,

მანქანის თავზე წახემსება ძეხვით და არყით

და შემდეგ მთებზე აბობლება კაკაბზე გნლოზე.

მოვკლავთ, ვერ მოვკლავთ ეს მთავარი სულაც არ არის,

ნადირობით, რომ დუღაბდება მეგობრობა, ეს არის ნაღდი!



15 ნოემბერი 2017 წ.

ბოლო თქმის ნაცვლად



თოფით მხარზე შევუდექი აღმართს,
რა თქმა უნდა წინ გამისწრო ძაღლმა...
ამიფრინდა, არ ველოდი, მწყერი!
შევიკურთხე, ჩავიქნიე ხელი...
ავივაკე... ქვაზე ვზივარ ახლა,
რა კარგია, აქ რომ დამასახლა.

მუხრან მაჭავარიანი

სარჩევნი

წინათქმის ნაცვლად	3
დალის	4
თბილისს, მთაწმინდას	5
და ვერ ვივიწყებ, რომ ვარ ქართველი	6
სააკაძესთან ერთად მინდა...	7
თქვენ, პოეტები საქართველოსი!	8
დედას	8
ჭადრაკისადმი არ გამიქრა ძველი ტრფიალი	9
ბაბუას	10
კვლავ მენატრება დედის ალერსი	11
ეკატერინე მამიდას	12
ჩემს დას, მარინას	14
მეამაყება რომ ძმრა ხარ ჩემი	15
გვიან გავიგე	16
ლამაზო ქალო	17
*** (უსიყვარულოდ)	17
ნუ გადადებ	17
ჩემს თამარს	18
ჩემს თინათინს	19
მიშიკოს	20
გალაქტიონს	20
ზაფხული ქობულეთში	21
მალე გაზაფხული მოვა	21
შენი ნახვისას	22
მერაბის ძეგლთან	22
შენ ჩემო თბილის ქალაქო	23
*** (ქარი ქრის)	24
ზეგანში თევზაობისას	24
სადღეგრძელო	25
მითხარი, მითხარი!	27
რა კარგი არის	28
ძნელია ადამიანად დარჩე	29
*** (ნადირობა არის...)	30
ბოლო თქმის ნაცვლად	31



დაიბადა 1939 წლის 18 ივლისს თბილისში. 1957 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1962-1966 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის ასპირანტურაში. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მათემატიკისა და ჭადრაკის პროფესორი, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, მსოფლიო მოყვარულთა მეორე პირველობის ვერცხლის პრიზიორი. კითხულობს ლექციებს საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და „საზოგადოება ცოდნის“ სასწავლო უნივერსიტეტში. თავისუფალ დროს ცდილობს ლექსებით ჩვენამდე მოიტანოს თავის სათქმელი.